



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/162

„ 5 „ ოქტომბერი 2015წ.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შეტანილ იქნეს ცვლილება და VI თავს დაემატოს შემდეგი შინაარსის 25¹ მუხლი:

„მუხლი 25¹ . დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის აცილება

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის შესახებ საჩივრის მიღების შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის უფროსი აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საჩივართან დაკავშირებით, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ფუნქციების განხორციელებაზე პასუხისმგებელი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი გამოვლინდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წილისყრით.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი